

ქ.თბილისი

2018 წლის 4 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 4 მაისს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაძე, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ფ. გაბაძის ოქმი, მთავარი მსაჯის გ. ლემონჯავასა და თანამსაჯის ლ. გიორგაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 30 აპრილს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე, თბ „არმია“-სა და გორის „წიქარა/ჯიქი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „არმია“-ს მორაგბე ლუკა სალდაძე - კონფლიქტის პროვოცირება.
2. გორის „წიქარა/ჯიქი“-ს მორაგბე გიორგი ბალუთაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1 -ის 2.7 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „არმია“-ს მორაგბე ლ. სალდაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
2. გორის „წიქარა/ჯიქი“-ს მორაგბე გ. ბალუთაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/